საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს (08.07.2025)

გადაწყვეტილება

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის (შემდგომში ,,ფაკულტეტი“) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით.
2. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2025 წლის 17 ივლისის 10:00 საათიდან მედიცინის ფაკულტეტის კანცელარიაში,
   მისამართი: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. №78, ოთახი №330.
3. კანდიდატთა რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს 2025 წლის 24 ივლისი, 17:00 საათი.
4. არჩევნები ჩატარდეს 2025 წლის 5 აგვისტოს, 16.00 საათზე, ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ღია კენჭისყრით.
5. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის პროფესორებსა და ასოცირებულ პროფესორებს.

6. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:

6.1 განცხადება ფაკულტეტის საბჭოს სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობის დაკავების მსურველი პირის ვინაობა, საცხოვრებელი მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტის მისამართი, სასურველი თანამდებობის ზუსტი დასახელება.

6.2 განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) ცნობა დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ;
ბ) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წარდგინება;
გ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განვითარების ოთხწლიანი სამოქმედო გეგმა;
დ) ავტობიოგრაფია (CV);
ე) პირადობის მოწმობის ასლი;
ვ) ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ.

7. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატი რეგისტრირებულად ჩაითვლება, თუ იგი წინამდებარე განცხადების მე-3 პუნქტით დადგენილ ვადაში მედიცინის ფაკულტეტის კანცელარიაში სრულყოფილად წარადგენს ამავე განცხადების 6.1 და 6.2 პუნქტებში მითითებულ დოკუმენტაციას.